ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2019 წლის 18 იანვარი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №40 დადგენილების დანართი №3-ში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №40 დადგენილების დანართი №3-ის (www.matsne.gov.ge; 03.01.2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016268) „ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურების“ – მეექვსე პუნქტში აიტი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 700 (შვიდასი) ლარისა განისაზღვრის – 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარით.

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**